

შპს „ვოლტ ჯორჯია“
(თანხები მოცემულია ლარში)

შპს „ვოლტ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6

შპს “ვოლტ ჯორჯია“
(თანხები მოცემულია ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

		31.12.2020	31.12.2019	01.01.2019
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	699 209	481 070	-
		699 209	481 070	-
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	5	6 596 688	175 802	144 441
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	2 368 836	5 023 639	2 280 687
მარაგები		83 078	-	-
		9 048 601	5 199 441	2 425 128
მთლიანი აქტივები		9 747 810	5 680 511	2 425 128
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		101	101	101
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		1 138 051	728 660	67 429
		1 138 151	728 760	67 530
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები		-	1 001 817	921 360
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	7	8 609 658	3 949 935	1 436 238
		8 609 658	4 951 751	2 357 598
მთლიანი ვალდებულებები		8 609 658	4 951 751	2 357 598
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		9 747 810	5 680 511	2 425 128

გენერალური მენეჯერი
ნატალია ხიზანიშვილი

30 სექტემბერი 2021 წელი
თბილისი, საქართველო

6 - 13 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

შპს “ვოლტ ჯორჯია“
(თანხები მოცემულია ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

		31.12.2020	31.12.2019	01.01.2019
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	699 209	481 070	-
		699 209	481 070	-
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	5	6 596 688	175 802	144 441
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	2 368 836	5 023 639	2 280 687
მარაგები		83 078	-	-
		9 048 601	5 199 441	2 425 128
მთლიანი აქტივები		9 747 810	5 680 511	2 425 128
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		101	101	101
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		1 138 051	728 660	67 429
		1 138 151	728 760	67 530
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები		-	1 001 817	921 360
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	7	8 609 658	3 949 935	1 436 238
		8 609 658	4 951 751	2 357 598
მთლიანი ვალდებულებები		8 609 658	4 951 751	2 357 598
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		9 747 810	5 680 511	2 425 128

გენერალური მენეჯერი
ნატალია ხიზანიშვილი



30 სექტემბერი 2021 წელი
თბილისი, საქართველო

შპს “ვოლტ ჯორჯია“
(თანხები მოცემულია ლარში)

მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		2020	2019
ამონაგები	8	15 371 949	4 649 746
თვითღირებულება	9	(9 903 073)	(149 230)
საერთო მოგება		5 468 876	4 500 516
სხვა შემოსავლები		4 874 147	439 814
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	10	(2 070 644)	(1 237 724)
კომერციული დანახარჯები		(5 018 738)	(2 720 628)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	11	(2 783 553)	(319 048)
სხვა ხარჯები		(60 696)	(1 698)
საოპერაციო მოგება		409 391	661 230
ფინანსური შემოსავალი		-	-
ფინანსური ხარჯი		-	-
ფინანსური ხარჯი - წმინდა		-	-
მოგება დაბეგვრამდე		409 391	661 230
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წმინდა მოგება		409 391	661 230
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		409 391	661 230

გენერალური მენეჯერი
ნატალია ხიზანიშვილი

30 სექტემბერი 2021 წელი
თბილისი, საქართველო

6 - 13 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

შპს “ვოლტ ჯორჯია“
(თანხები მოცემულია ლარში)

მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		2020	2019
ამონაგები	8	15 371 949	4 649 746
თვითღირებულება	9	(9 903 073)	(149 230)
საერთო მოგება		5 468 876	4 500 516
სხვა შემოსავლები		4 874 147	439 814
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	10	(2 070 644)	(1 237 724)
კომერციული დანახარჯები		(5 018 738)	(2 720 628)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	11	(2 783 553)	(319 048)
სხვა ხარჯები		(60 696)	(1 698)
საოპერაციო მოგება		409 391	661 230
ფინანსური შემოსავალი		-	-
ფინანსური ხარჯი		-	-
ფინანსური ხარჯი - წმინდა		-	-
მოგება დაბეგვრამდე		409 391	661 230
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წმინდა მოგება		409 391	661 230
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		409 391	661 230

გენერალური მენეჯერი
ნატალია ხიზანიშვილი



30 სექტემბერი 2021 წელი
თბილისი, საქართველო

შპს “ვოლტ ჯორჯია“
(თანხები მოცემულია ლარში)

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2019 წლის 1 იანვარი	101	-	67 429	67 530
წმინდა მოგება	-	-	661 230	661 230
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	661 230	661 230
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	101	-	728 660	728 760
წმინდა მოგება	-	-	409 391	409 391
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	409 391	409 391
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბერი	101	-	1 138 051	1 138 151

გენერალური მენეჯერი
ნატალია ხიზანიშვილი

30 სექტემბერი 2021 წელი
თბილისი, საქართველო

შპს “ვოლტ ჯორჯია“
(თანხები მოცემულია ლარში)

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელ ი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2019 წლის 1 იანვარი	101	-	67 429	67 530
წმინდა მოგება	-	-	661 230	661 230
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	661 230	661 230
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	101	-	728 660	728 760
წმინდა მოგება	-	-	409 391	409 391
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	409 391	409 391
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბერი	101	-	1 138 051	1 138 151

გენერალური მენეჯერი
ნატალია ხიზანიშვილი



30 სექტემბერი 2021 წელი
თბილისი, საქართველო

შპს „ვოლტ ჯორჯია“
(თანხები მოცემულია ლარში)

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შესავალი

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „ვოლტ ჯორჯია“ (ს/კ 405260042) შემდგომში – კომპანია, დაფუძნდა 2018 წლის 22 მარტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიულ-სამართლებრივი ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს). კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, დ. აღმაშენებელი, N 61. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის კაპიტალის 100 % წილის მფლობელია: ვოლტ ენტერპრაიზის ოი (ს/კ 2646674-9). კომპანიის ხელმძღვანელ პირებად წარმოდგენილნი არიან: მიკვო აკსელი კუუსი, ვერა ვიქტორია მარიანე ვიკკულა.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: მონაცემთა დამუშავება, განთავსება და მათთან დაკავშირებული საქმიანობები (Wolt App), სხვა საფოსტო და საკურიერო მომსახურება (Delivery Service).

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას. მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას.

კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას მომზადებისას იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული „ბრძანება №6-ს“ ში მოცემულ მე-3 კატეგორიის საწარმოებისთვის განკუთვნილ შეღავათს და არ წარადგენს ფულადი ნაკადების ანგარიშგებას.

ფუნქციონირებადი საწარმო

წინასწარი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას, რეალიზებას გაუკეთებს აქტივებს და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

შპს “ვოლტ ჯორჯია“
(თანხები მოცემულია ლარში)

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე. უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31/12/2020	31/12/2019	01/01/2019
1 USD/GEL	3.2766	2.8677	2.6766
1 EUR/GEL	4.0233	3.2095	3.0701

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა.

ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება შესყიდვის ფასისგან.

შპს “ვოლტ ჯორჯია“
(თანხები მოცემულია ლარში)

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა.

ცვეთა

მენეჯმენტის გადაწყვეტილებით, კომპანია, საქმიანობიდან გამომდინარე, იყენებს ცვეთის წრფივ მეთოდს, რომელიც ნათლად ასახავს აქტივების მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის გამოყენების ხასიათს.

ძირითადი საშუალების სხვა ერთეულების წინასწარ შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა

2-6 წელი

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების განსაზღვრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადების შესაბამისად. კომპანიის არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა არის 10 წელი.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური აქტივები შედგება ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებისაგან და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისაგან. საწარმო სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს თავდაპირველი აღიარებისას აფასებს გარიგების ფასით. შემდგომში ფინანსური აქტივების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება გადაიხედება, რათა მოხდეს განისაზღვროს არსებობს თუ არა მოთხოვნების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულებები. მათი არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. თუ შემდგომ პერიოდში აქტივის გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელია გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან, საწარმო აღადგენს წინა პერიოდებში წარმოშობილი გაუფასურების ზარალს გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, ისე რომ გაუფასურების ზარალის აღდგენის შედეგად ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება (გაუფასურების რეზერვის ანგარიშის თანხების გამოკლებით) არ იყოს იმ თანხაზე მეტი, რაც იქნებოდა აქტივის საბალანსო ღირებულება იმ შემთხვევაში, თუ წინა პერიოდებში არ მოხდებოდა

შპს “ვოლტ ჯორჯია“
(თანხები მოცემულია ლარში)

გაუფასურების აღიარება. საწარმო გაუფასურების კომპენსირების თანხას დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

საწარმო წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც:

(ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;

(ბ) საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან

(გ) საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის ფინანსური ვალდებულებები შედგება აღებული სესხებისა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისაგან.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და თავდაპირველად აისახება გარიგების ფასით. საბანკო სესხები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ფინანსური ვალდებულებები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. სასესხო ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა და კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ხარჯი. საწარმო ფინანსური ვალდებულების აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში წყვეტს, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგის თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება

შპს “ვოლტ ჯორჯია“
(თანხები მოცემულია ლარში)

არის ერთ წელამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად ჯგუფის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წელამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მოგების გადასახადი

გადასახადები აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად. საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა (მათ შორისაა კომერციული ბანკები, სადაზღვევო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სხვა), ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი, ე.წ. “ესტონური”, მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება).

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაბისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

საწესდებო კაპიტალი

კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლის მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლის შენატანების რეალური ღირებულებით

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომლებიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა

შპს “ვოლტ ჯორჯია“
(თანხები მოცემულია ლარში)

განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. კომპანიის მენეჯმენტი სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრის დროს ითვალისწინებს მსგავსი აქტივების გამოყენების გამოცდილებას, აქტივების ტექნიკურ მოძველებასა და ფიზიკურ მდგომარეობას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

4. ძირითადი საშუალებები

	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	სულ
31 დეკემბერი 2019	604 066	604 066
შემოსვლა	474 468	474 468
გასვლა	-	-
31 დეკემბერი 2020	1 078 534	1 078 534
ცვეთა და გაუფასურება		
31 დეკემბერი 2019	(122 996)	(122 996)
პერიოდის ცვეთა	(256 330)	(256 330)
გაუფასურება	-	-
გასვლა	-	-
31 დეკემბერი 2020	(379 326)	(379 326)
წმინდა საბალანსო ღირებულება		
31 დეკემბერი 2019	481 070	481 070
31 დეკემბერი 2020	699 208	699 208

შპს “ვოლტ ჯორჯია“
(თანხები მოცემულია ლარში)

5. ფული და ფულის ექვივალენტები

	2020	2019	01.01.2019
ნაღდი ფული სალაროში	-	-	-
ეროვნული ვალუტა ბანკში	6 217 248	104 242	5 383
უცხოური ვალუტა ბანკში	379 439	71 559	139 058
სულ	6 596 688	175 802	144 441

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2020	2019	01.01.2019
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	421 340	4 558 731	2 080 198
გადახდილი ავანსები	58 717	44 014	19 401
საგადასახადო აქტივი	1 888 779	420 895	181 087
სულ	2 368 836	5 023 639	2 280 687

7. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	2020	2019	01.01.2019
სავაჭრო ვალდებულებები	3 131 904	3 053 422	663 286
მიღებული ავანსები	5 203 539	817 955	772 952
სხვა ვალდებულებები	274 216	78 557	-
სულ	8 609 658	3 949 935	1 436 238

8. ამონაგები

	2020	2019
საქონლის გაყიდვიდან	38 123	-
მომსახურების გაწევა საქართველოს ფარგლებს გარეთ	3 272 309	4 649 746
მომსახურების გაწევა საქართველოს ფარგლებში	12 061 517	-
სულ	15 371 949	4 649 746

9. თვითღირებულება

	2020	2019
პირდაპირი შრომის ხარჯი	-	-
სხვა პირდაპირი ხარჯი	(9 903 073)	(149 230)
სულ	(9 903 073)	(149 230)

10. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

	2020	2019
შრომის ანაზღაურება	(1 208 662)	(570 777)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(256 330)	(122 996)
სხვა ხარჯი	(176 890)	(196 255)
იჯარის ხარჯი	(120 146)	(76 827)
ოფისის ხარჯი	(52 573)	(61 847)
მივლინების ხარჯები	(20 565)	(51 708)
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	(148 758)	(113 800)
კომუნიკაციის ხარჯები	(83 172)	(43 395)
კომუნალური ხარჯები	(3 549)	(120)
სულ	(2 070 644)	(1 237 724)

11. სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა

	2020	2019
საკურსო სხვაობით მიღებული საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	(2 783 553)	(319 048)
სულ	(2 783 553)	(319 048)

12. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია დირექტორთა საბჭოს მიერ 2021 წლის 30 სექტემბერი

13. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

	2020	2019
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელ პირებზე გაცემული შრომის ანაზღაურება	179 408	150 442
სულ	179 408	150 442